საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარე

განკარგულება №23/2015

საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ

ქ. თბილისი 2015 წლის 26 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 130-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესის განსაზღვრის თაობაზე” საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №47 დადგენილებისა და საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 30 სექტემბრის №4312-Iს დადგენილების საფუძველზე, ვადგენ:

მუხლი 1. ცნობილ იქნას საქართველოს პარლამენტში, საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის დავით საგანელიძის (ბლოკის პარტიულ სიაში №9) ადგილმონაცვლედ, ამავე ბლოკის პარტიული სიით პარლამენტის წევრობის კანდიდატი ვლადიმერ აჩბა (ბლოკის პარტიულ სიაში №107).

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**